საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 435-02
21/02/2020

"სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" საკუთრებაში არსებული ქონების - უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული 3 (სამი) ერთეული ავტომობილის ელექტრონული აუქციონით გაყიდვასთან დაკავშირებით, აუქციონის გამოცხადების, ვადებისა და პირობების დადგენის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 18 თებერვლის №402-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის საფუძველზე და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსის გიორგი მამუჩაშვილის 2020 წლის 20 თებერვლის N2793-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 18 თებერვლის N402-02 ბრძანებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატება:
   ა) ბრძანების პირველ პუნქტში, სიტყვები: „2020 წლის 19 თებერვალს" შეიცვალოს სიტყვებით „2020 წლის 20 თებერვალს";
   ბ) ბრძანების მეორე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში, სიტყვები: „2020 წლის 4 მარტს" შეიცვალოს სიტყვებით „2020 წლის 5 მარტს";
   გ) ბრძანების მეორე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტში, სიტყვები „არაუგვიანეს 2020 წლის 14 მარტისა" შეიცვალოს სიტყვებით „არაუგვიანეს 2020 წლის 15 მარტისა";
   დ) ბრძანების მეორე პუნქტის „ლ" ქვეპუნქტში, სიტყვები „2020 წლის 14 აპრილი" შეიცვალოს სიტყვებით „2020 წლის 15 აპრილი";
   ე) ბრძანების მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ" ქვეპუნქტი: „ჟ) თუ ელექტრონული აუქციონი არ შედგა იმ მიზეზით, რომ აუქციონში რეგისტრირებულმა პირებმა რომლებმაც გადაიხადეს ბე ან/და წარმოადგინეს უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია - არ მიიღეს მონაწილეობა სააუქციონო ვაჭრობაში, წარდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო

გარანტიის/ბეს თანხა სრულად ირიცხება უნივერსიტეტის ანგარიშზე.“.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებით გათვალისწინებული ინფორმაციის უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნება;
3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსს, გიორგი მამუჩაშვილს.
4. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, მატერიალური რესურსების სამსახურს, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, შესყიდვების სამსახურს, უნივერსიტეტის შიდა აუდიტს.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი